სსიპ ,,საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“
გენერალური დირექტორის 2013 წლის 26 აგვისტოს N62
განკარგულებით შექმნილი საკონკურსო კომისიის
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 08 ოქტომბერი 2013 წელი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

პრომეთე შევარდნაძე–გენერალური დირექტორი, კომისიის თავმჯდომარე;

<u>კომისიის წევრები:</u>

ნინო მიქანაძე-მეტროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

დავით ტყემალაძე–ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი.

ავთანდილ ჭიჭინაძე- სტანდარტიზაციის სამსახურის უფროსი.

ავთანდილ მაღლაკელიძე-საერთაშორისო ურთიერთობების, პროტოკოლისა და მარკეტინგის განყოფილების სპეციალისტი.

<u>სხდომას ასევე ესწრებოდნენ:</u> საფინანსო სამსახურის შესყიდვების სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი შავლეგო ხუნაშვილი და იურისტის მოვალეობის შემსრულებელი სალომე სვინტრაძე.

<u>სხდომას არ ესწრებოდნენ:</u>

გიორგი ჩიტაძე - სტანდარტების დეპარტამენტის დირექტორი (მივლინება 2013 წლის 3 ოქტომბრის განკარგულება №49/მ-ის საფუძველზე).

სიმონ სუხიშვილი - რადიაციული მეტროლოგიის განყოფილების უფროსი (შვებულება 2013 წლის 3 ოქტომბრის №63/შვ.-ის საფუძველზე).

დღის წესრიგი: სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით (CPV 71200000) გამოცხადებულ კონკურსში (№972) წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვა.

კომისიამ განიხილა: კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სსიპ ,,საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით (CPV71200000) გამოცხადებულ კონკურსში (№972)

მონაწილეობა მიიღო ორმა კონკურსანტმა (შპს ,,არქიტექტორი გამომგონებლები“ და შპს „არტსტუდიო-პროექტი“). კომისიამ შეამოწმა ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შესაბამისობა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ როგორც შპს ,,არქიტექტორი გამომგონებლების“, ასევე შპს „არტსტუდიო-პროექტის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების თანმხლები დოკუმენტაცია არ შეიცავდა ,,საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“-ის 19[1] მუხლით გათვალისწინებული საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს. კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №3-ის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების დისკვალიფიკაციის თაობაზე. შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსი №972 დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

კომისიამ დაადგინა:

1. წერილობით ეცნობოს შპს ,,არქიტექტორი გამომგონებლები“-ს და შპს „არტსტუდიო-პროექტი“-ს რომ მოხდა მათ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების დისკვალიფიკაცია.
2. ასევე ეცნობოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რომ კონკურსი №972 დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

<u>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:</u>

პრომეთე შევარდნაძე

<u>საკონკურსო კომისიის წევრები:</u>

ნინო მიქანაძე

დავით ტყემალაძე

ავთანდილ ჭიჭინაძე

ავთანდილ მაღლაკელიძე